საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №84
2020 წლის 8 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის №132 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის №132 ბრძანებით (ვებგვერდი, 14/12/2018, სარეგისტრაციო კოდი: 120010000.22.026.016679) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლს დაემატოს 157^1 და 157^2 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„157^1. კომპეტენციის ფარგლებში, გენერალური შტაბის კავშირგაბმულობის ცენტრის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, ვიზირება და ცენტრის უფროსისთვის ხელმოსაწერად წარდგენა.

157^2. გენერალური შტაბის კავშირგაბმულობის ცენტრის მოსამსახურეთა მიმართ დისციპლინური წარმოების სამართლებრივი უზრუნველყოფა, კომპეტენციის ფარგლებში.“.

2.მე-4 მუხლის მე-13 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს დაემატოს „ა.დ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ა.დ) სამედიცინო პუნქტი.“.

3. მე-17 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „ვ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ვ) კავშირგაბმულობის ცენტრის დისლოკაციის ადგილზე და საველე მართვის პუნქტზე გადაუდებელ პირველად სამედიცინო დახმარებას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 31 აგვისტოდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**